



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080157782942520

№ 1863

22 / აპრილი / 2020 წ.

შპს „აგრო - ტექნიკის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“;

ტენდერის ნომერი: SPA190005945;

შესყიდვის ობიექტი: 16300000 – მოსავლის ასაღები მანქანები;

მიმწოდებელი: შპს „აგრო - ტექნიკა“ (ს/ნ: 423100174);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 12 მარტს წარმოდგენილ იქნა სსე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 2020 წლის 12 მარტის №961/07 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 3105), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „აგრო - ტექნიკის“ (ს/ნ: 423100174) მიერ SPA190005945 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2020 წლის 16 იანვრის № 60-7-220-049 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის kamadadze.dato@mail.ru მეშვეობით, 2020 წლის 24 მარტის № 1061 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2020 წლის 30 მარტს სააგენტოში წარმოადგინა 2020 წლის 28 მარტის განმარტება (რეგისტრაციის № 3647) 2020 წლის 16 იანვრის № 60-7-220-049 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2020 წლის 16 იანვრის №60-7-220-049 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2020 წლის 10 მარტის № 909/07 წერილით, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებლის განმარტების თანახმად, მან შემსყიდველ ორგანიზაციას სრულად მიანოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, გარდა ერთი პოზიციით გათვალისწინებული საქონლისა (გაზონის საკრეჭი მანქანა არასწორი რელიეფისთვის), რომლის დაწუნების საფუძველი იყო ძრავის სიმძლავრის შეუსაბამობა ხელშეკრულებით მოთხოვნილ პირობებთან. მიმწოდებელი განმარტავს, რომ

სიმძლავრესთან დაკავშირებული ინფორმაცია ნივთზე ქარხნულად არ ყოფილა დატანილი, რის გამოც ძრავის სიმძლავრის (5,1 ცხენის ძალა) ფორმულით გადაყვანისას აღმოჩნდა სხვაობა ხელშეკრულებით მოთხოვნილ სიმძლავრესა და ძრავის რეალურად მქონე სიმძლავრეს შორის. მიმწოდებელი ასევე განმარტავს, რომ მას ყურადღება არ გაუმახვილებია საქონლის ძრავის სიმძლავრეზე, რამაც გამოიწვია მისი ტექნიკური პარამეტრების ხელშეკრულებით მოთხოვნილ პირობებთან შეუსაბამობა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 10 დეკემბერს სსე „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ გამოაცხადა SPA190005945 ელექტრონული ტენდერი სათიბი მანქანების (CPV16310000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2020 წლის 10 იანვრის №3 სხდომის ოქმით, შპს „აგრო - ტექნიკა“ (ს/ნ: 423100174) გამოვლინდა გამარჯვებულად და ამავე სხდომის ოქმით, იგი მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2020 წლის 16 იანვარს მხარეთა შორის გაფორმდა № 60-7-220-049 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მისი გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 9 202,82 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 30 აპრილი.

4.4. საქმეში არსებული დანუწების აქტით დგინდება, რომ 2020 წლის 21 თებერვალს, ხარვეზი დაუდგინდა მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიწოდებულ გაზონის საჭრელ მანქანას, რომელიც გათვალისწინებული იყო ფასების ცხრილის პირველი პოზიციით. ამავე აქტის თანახმად, აღნიშნული მანქანის ძრავის სიმძლავრე არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებს.

4.5. მიმწოდებელმა 2020 წლის 5 მარტის №1166 წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას მოსთხოვა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა, რამდენადაც ტექნიკური პარამეტრების უზუსტობის გამო, მან ვერ მოახერხა გაზონის საკრეჭი-სათიბი მანქანის (რომელიც გათვალისწინებული იყო ფასების ცხრილის პირველი პოზიციით) შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიწოდება.

4.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2020 წლის 10 მარტის №909/07 წერილით, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება.

4.7. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიანოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, გრადა ფასების ცხრილის პირველი პოზიციით გათვალისწინებული საქონლისა (გაზონის საკრეჭი-სათიბი მანქანა). შესაბამისად, მიმწოდებელმა შეასრულა 7 552 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების ღირებულების 82%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „აგრო - ტექნიკას“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ხაზს უსვამს მიმწოდებლის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას ყურადღება არ გაუმახვილებია საქონლის ძრავის სიმძლავრეზე, რამაც გამოიწვია მისი ტექნიკური პარამეტრების ხელშეკრულებით მოთხოვნილ პირობებთან შეუსაბამობა. სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ან მის შემამსუბუქებელ გარემოებას, რამდენადაც იგი ვალდებული იყო, შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიეწოდებინა ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისი საქონელი, რაც არ განხორციელებულა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯერჯერობდა აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5¹ პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები თუმცა, სააგენტო ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულებების მოცულობას (ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 82%) და მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „აგრო - ტექნიკის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „აგრო - ტექნიკას“ (ს/ნ: 423100174) 2020 წლის 23 აპრილს მიეცეს გაფრთხილება.
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე



ლევან რაზმაძე